PRODUCED BY AN AUTODESK EDUCATIONAL PRODUCT



PRODUCED BY AN AUTODESK EDUCATIONAL PRODUCT

მისამართი	თბილისი, ხოჯ. დიღომი, დიდი დიღომი

პირობითი ნიშნები

ი/მ. გიორგი ლაზვილავა

დირექტორი		გ.ლაზვილავა
შეასრულა		გ.ლაზვილავა
მ. 1:500		გაიცა: 16.01.2024

PRODUCED BY AN AUTODESK EDUCATIONAL PRODUCT

PRODUCED BY AN AUTODESK EDUCATIONAL PRODUCT

ი/მ "გიორგი ტივაძე"

ს/კ 01021002814, tkeproeqti@gmail.com, მობ: 571 900030

მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასების საექსპერტო დასკვნა

ქ.თბილისი **17 იანვარი 2024 წ.**

მისამართი:

ქალქი თბილისი, სოფელი დიღომი,დიდი დიღომი;

საკადასტრო კოდი:

01.72.14.035.932;

ფართობი:

1200.00 კვ.მ;

დამკვეთი:

შპს"ელისი" , ID ნომერი:402113547

საექსპერტო ობიექტის ზოგადი მდგომარეობის აღწერა-შეფასება/კვლევის მეთოდი:

საკვლევი ობიექტის რელიეფი ვაკეა. აღწერა -შეფასება მოხდა ვიზუალური დათვალიერებით. საექსპერტო დასკვნას თან ახლავს არსებული სიტუაციური ფოტოსურათები.

ცხრილი№1

№	სახეობა	სასიცოცხლო ფორმა	D (ფს.ყ. 10სმ-ზე)	მცენარის ზოგადი მდგომარეობა	შენიშვნა
1	ნეკერჩხალი (Acer rubrum)	ხე	2	ჯანსაღი	შესაძლებელია გადარგვა/გახარება
2	ნეკერჩხალი (Acer rubrum)	ხე	2	ჯანსაღი	შესაძლებელია გადარგვა/გახარება
3	ნეკერჩხალი (Acer rubrum)	ხე	3	ჯანსაღი	შესაძლებელია გადარგვა/გახარება
4	ნეკერჩხალი (Acer rubrum)	ხე	2	ჯანსაღი	შესაძლებელია გადარგვა/გახარება
5	ნეკერჩხალი (Acer rubrum)	ხე	4	ჯანსაღი	შესაძლებელია გადარგვა/გახარება

ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგაობს რაოდენობა : 5

გადარგვა/გახარებას ექვემდებარება ნარგაობა: 5

ხმობადი ნარგაობა : -

ზეხმელი ნარგაობა: -

კერძოდ:

იხ.ცხრილი№1

1. იაფი ღირებულების ჯგუფის ფოთლოვანი ნარგაობა 5 ძირი:

5 ძირი(№ 1,2, 3, 4, 5)- **ნეკერჩხალი(Acer rubrum)**

25 სმ-ზე ნაკლები დიამეტრის ხე-მცენარეების გადარგვა/გახარების მეთოდოლოგია საჭიროების შემთხვევაში

გადარგვა უნდა მოხდეს არასავეგეტაციო პერიოდში შესაბამისი აგროტექნიკური ღონისძიებების გათვალისწინებით და უსაფრთხოების პირობების სრული დაცვით. ხის გადარგვამდე უნდა მოხდეს კომის ფიქსირება ჯვალოში ან ბადეში.

დასარგავი ორმოს სიდიდე დამოკიდებულია მცენარის გაბარიტებზე და ასაკზე. სარგავი ორმოს სიგრძე და სიგანე 90 სმ-ით, ხოლო სიღრმე 20- 25 სმ-ით მეტი უნდა იყოს ხის კომზე. კომსა და ორმოს შორის სივრცე უნდა შეივსოს ნაყოფიანი ნიადაგის ნაზავით , რომელთა შემადგენლობა განისაზღვრება ინდივიდუალურად. სარგავი ორმოს ფსკერი უნდა გაფხვიერდეს 10-15 სმ. სიღრმეზე, შემდეგ კი მოხდეს 20-25 სმ სისქის ნაყოფიერი ნიადაგის შეტანა. ხე სარგავ ორმოში უნდა მოთავსდეს განსაკუთრებული სიფრთხილით ,რათა დარგვის დროს არ დაიშალოს მიწის კომი. არ დაზიანდეს მცენარის ღერო , ფესვთასისტემა და ვარჯი. ხის დარგვის შემდეგ აუცილებელია ღეროს დაფიქსირება რამოდენიმე მხრიდან , რომელიც განისაზღვრება ინდივიდუალურად ხის სიდიდიდან გამომდინარე. სარგავ ორმოში იყრება მიწის ნაზავი და იტკეპნება, ხოლო დარგული ხის ირგვლივ უნდა გაკეთდეს სარწყავი ჯამი და მოხდეს მისი მულჩირება. ხის დარგვის შემდგომ უნდა მოხდეს მისი მორწყვა სრულ გაჯირჯვებამდე.

ხის მოვლა უზრუნველყოფილი უნდა იყოს გადარგვიდან 3 წლის განმავლობაში. ხის გადარგვის შემდგომ მაისიდან სექტემბრის ჩათვლით უნდა მოხდეს მცენარის მორწყვა არანაკლებ ორჯერ. ზამთრის თბილ და მშრალ პერიოდში (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ხის მორწყვა უნდა ჩატარდეს თვეში ერთჯერ. თითოეული მცენარისთვის წყლის ოდენობა დამოკიდებულია გადარგული მცენარის გაბარიტებზე და ასაკზე და უნდა შეადგენდეს არანაკლებ 150 ლიტრს (მორწყვის კალენდარი და ჯერადობა განისაზღვრება ინდივიდუალურად) . მორწყვის საუკეთესო დროა დილით 11-12 საათამდე და საღამოს 8 საათის შემდეგ. დარგვის შემდეგ სამი წლის განმავლობაში თვეში ერთჯერ უნდა განახლდეს სარწყავი ჯამები, მოხდეს მიწის გაფხვიერება , სარეველა ბალახებისგან გაწმენდა. ფოთლოვანი ხის შემთხვევაში ფესვის ყელიდან ამონაყრის მოცილება. ხის დარგვის პირველი წლიდანვე საჭიროა ჩატარდეს დარგულ მცენარეზე დავადებების და მავნებლების წინააღმდეგ ჩასატარებელი ღონისძიებები სპეციალისტის მიერ მომზადებული ინსტრუქციით.

ხის გადარგვის მეორე წელს, ადრე გაზაფხულზე ,(ვეგეტაციის დაწყებამდე) სარწყავ ჯამებში უნდა მოხდეს სერტიფიცირებული მინერალური და ბიოლოგიური სასუქების შეტანა და მორწყვა. სასუქების შეტანა უნდა განმეორდეს მცენარის დარგვიდან მესამე წელს.(შესატანი სასუქების რაოდენობა განისაზღვრება ინდივიდუალურად) დარგვიდან სამი წლის შემდეგ მცენარეს უნდა მოეხსნას ხის დასაფიქსირებელი საშუალებები.

რაც შეეხება 25სმ-ზე მეტი დიამეტრის ხე-მცენარეებს ითვლება მაღალი ტანის ეგზემპლარებად, რომელთა გადარგვას ჭირდება სპეციფიკური მეთოდოლოგიის შემუშავება.

ჯანსაღი ხე-მცენარის გადარგვა უნდა მოახდინოს შესაბამისი პროფესიის სპეციალისტმა, რომელიც პირველი მორწყვის ჩათვლით ზედმიწევნით შეასრულებს გადარგვის ყველა პირობას.რაც შეეხება მცენარის გახარებას, მის შემდგომ მოვლა-პატრონობაზე პასუხისმგებელმა პირმა ზედმიწევნით უნდა შეასრულოს ყველა რეკომენდაცია, რაც საგრძნობლად გაზრდის მცენარის გახარების პროცენტს.

ექსპერტი:

გიორგი ტივაძე


1


2


EMERGENCY
B 250
GE GI-888-
3


4


XI-
935-IX
VA-777-NI
PHARMADEPOT
5